საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2012 წლის 22 ივნისის
დადგენილება № 691

სტუ-ს კავშირგაბმულობის ფაკულტეტზე
1998-2003 წლებში ჩარიცხული სტუდენტებისათვის
გაცემული დიპლომების შესაბამისი შეფასების
სისტემის აღიარების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კავშირგაბმულობის ფაკულტეტზე (ამჟამად ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი) 1998-2003 წლებში ჩარიცხული სტუდენტებისათვის, რომელთა საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილი იყო UK (დიდი ბრიტანეთი) კრედიტების საფუძველზე, გაცემული დიპლომების შესაბამისი დანართის და ნიშნების ფურცლის მოსამზადებლად, იმ სტუდენტებისათვის, რომლებმაც უნივერსიტეტი დაამთავრეს შეფასებების საშუალო შეწონილი მნიშვნელობით (GRA) 40% და მეტი, სასწავლო კურსების შეფასებები მიღებულ იქნეს შემდეგი სახით:

- (A) ფრიადი – 70% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი –60-69%;
- (C) კარგი – 50-59%;'
- (D) დამაკმაყოფილებელი – 40-49%;
- (E) საკმარისი – 40%-მდე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი
აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე